პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 289 (20880) შაბათი, 17 დეკემბერი, 1988 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული სომხეთის სს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ, უბედურების უზარმაზარი მასშტაბების გათვალისწინებით დაზარალებულ მოქალაქეებს მიეცემათ ერთდროული დახმარება, აუნაზღაურდებათ მიწისძვრის შედეგად დაკარგული ქონების ღირებულება. სრული ოდენობით ანაზღაურდება საცხოვრებელი სახლების, საბაღო სახლების, სამეურნეო ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, სატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე საოჯახო ქონების ღირებულება სახელმწიფო დაზღვევით მისაცემლების გათვალისწინებით.

გადაწყვეტილია დაზარალებულ მოქალაქეთა პენსიით უზრუნველყოფის საკითხები, მიწისძვრის შედეგად დანგრეული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომითი მოწყობისა და შრომის ანაზღაურების წესი.

განსაზღვრულია შეღავათები მშობლებდაკარგული ბავშვების პენსიით უზრუნველყოფისათვის. ქალებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და დაკარგეს სამუშაო მიწისძვრის გამო, უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი და მუშაობის უწყვეტი სტაჟი მუშაობის შეწყვეტის დღიდან 6 თვემდე პერიოდისათვის.

ყველა ეს ღონისძიება საბჭოთა სახელმწიფოს, ყველა მოძმე რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის მიერ მიწისძვრის მძიმე შედეგების დასაძლევად სომხეთის სს რესპუბლიკისათვის უდიდეს დახმარებასთან შეხამებით ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში ნორმალური რიტმის აღდგენას.

პოლიტბიურომ დიდი მადლობა გადაუხადა საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც გამოეხმაურნენ სომეხი ხალხის უბედურებას და ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ მიწისძვრისაგან დაზარალებულთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიაში

ვფლობდეთ სიტუაციას

[illegible]

გადარჩენილი არაიკი

ბიჭუნა, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ, ლენინაკანის მე-10 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე არაიკ არამაისის ძე აზოიანია. [illegible] მიწისძვრიდან რამდენიმე საათის შემდეგ ჩამოიყვანეს ახალქალაქში.

საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნოდარ შაფათავა ხმადაბლა მიყვება ბიჭუნას ისტორიას: — მოიყვანეს მარჯვენა ფეხის ბარძაყის „დახურული მოტეხილობით“, ტრავმირებული მოკით, უგონო, მაჯა [illegible] ესინჯებოდა, წნევა არ ჰქონდა...

საავადმყოფოს თავთან თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალი უზის, ბიჭუნას ხელი უჭირავს და ეფერება.

— ჩვენი საავადმყოფოს ყველაზე პატარა პაციენტი არაიკი გონს რომ მოვიდა, — ამბობს მეანგინეკოლოგი კლარა ლევანის ასული [illegible]ოსიანი, — „დედაო“ — დაიძახა და ხელი ჩამჭიდა, მას შემდეგ [illegible] ვერა ძლებს, მეც თავს არ [illegible], ჩემ სამ ქალიშვილს მეუღლე პატრონობს, მე კი არაიკთან [illegible]... ალბათ გამოუჩნდება ახლობელი... თუ არა და, იგი ჩემი მეოთხე შვილი იქნება.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით ახალქალაქს. გაისმის საავადმყოფოს მთავარი ექიმის ნოდარ შაფათავას ხმა: — ამჟამად აქ [illegible] ავადმყოფი გვიწევს, ერთი ბიჭი და ორი გოგონა უკვე შეგვეძინა, მეოთხეს დღეს ველოდებით. ამ ერთ კვირაში სულ 92 ავადმყოფი მივიღეთ. განკურნებულნი — ზოგნი სომხეთში ნათესავებთან დაბრუნდნენ, ბევრნი კი აქვე, დროებით ოჯახებმა შეიფარეს. არაიკიც გაინტერესებთ? იგი სულ ნახევარი საათის წინ გავაცილეთ ლენინაკანში, გუშინ მამამისმა მოაკითხა და ჩვენი სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანა. ჩვენი მედიკოსების ოპერატიული ჯგუფის წევრი ქირურგი ოვიკ კულახსეზიანი ამ დღეებში 2-ჯერ იყო ლენინაკანში, სპეციალურად ნახა კოშტოიანის ქუჩაზე სახლი № 22/23. არაიკის დროებითი სამყოფლის მისამართები მიაკრა მის ყოფილ საცხოვრებელ სახლს, და აი, გუშინ სწორედ ამ მისამართით მოგვაგნო მამამისმა. — ჩვენი ოჯახი შედარებით იღბლიანი გამოდგა, შემთხვევით გადარჩენილი მეუღლე და ქალ-ვაჟი ახლა ერევანში ელოდებიან არაიკს... — გვითხრა მან.

ახლა ერთ ფოტოსურათს ვგზავნი ერევნის მე-3 საავადმყოფოში, რომელსაც ასე ვაწერ: არაიკ აზოიანს, ახალქალაქის საავადმყოფო, პალატა № 5, 1988 წლის 9 დეკემბერი, მომავალ შეხვედრამდე, კეთილი სურვილებით.

ვარლამ ბენბიური,
(„კომუნისტის“ კორ.).



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

თუ რა მაჩვენებლებით დაამთავრებს რესპუბლიკა მიმდინარე წელს, ბევრად არის დამოკიდებული როგორც მომავალი სამეურნეო წლის, ისე მთლიანად მეცამეტე ხუთწლედის ბედი. რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს დასახული ამოცანის შესასრულებლად? ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა 14 დეკემბერს გამართულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში ცალკეული სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის შესუსტების შედეგად 1988 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებაში შეიქმნა კიდევ უფრო დაძაბული მდგომარეობა. გასულ 11 თვის მანძილზე ათი თვის შედეგებთან შედარებით სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დონე შემცირდა 0,1 პუნქტით, სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი — 0,2 პუნქტით, პროდუქციის სახეობანი, რომელთა მიხედვით გეგმები ვერ შესრულდა, გაიზარდა 5 დასახელებით. მდგომარეობის გაუარესება მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში ნაკლოვანებებთან და წარმოების ტექნიკური დონის არასაკმარის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა კვარტალებისა და თვეების მიხედვით საგეგმო დავალებებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების არათანაბარზომიერმა განაწილებამ. სარგებლობენ რა ახალი სამეურნეო მექანიზმის ბერკეტებით, საწარმოო გაერთიანება „თბილისმარგარინმრეწვმა“, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ავტოქარხანამ“, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვმა“ და სხვებმა სისტემატური ხასიათი მიანიჭეს საგეგმო დავალებათა კორექტირებას შემცირების მიმართულებით.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ბოლო წლებში საკავშირო სამინისტროები და უწყებები საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის გეგმების მიცემისას ამცირებენ შეთანხმებულ მოცულობებს, საკავშირო დაქვემდებარების დარგების საწარმოებსა და გაერთიანებებს დაევალათ განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი ამგვარი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — დააწესოს შესაბამისი კონტროლი მათთვის მომავალი წლის საგეგმო დავალებათა დროული მიცემისადმი.

გაუმართლებლად გაჭიანურდა 1989 წლის სახელშეკრულებო ვალდებულებათა გაფორმება. 6 დეკემბრის მდგომარეობით, რესპუბლიკის მრეწველობაში ხელშეკრულებანი გაფორმებულია საგეგმო მოცულობის მხოლოდ 78,2 პროცენტით.

ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის საგეგმო დავალებათა შესრულების დამაკმაყოფილებელ შეფასებასთან ერთად აღინიშნა ჩამორჩენა გასულ წელთან შედარებით ხორცის დამზადებაში.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა. წლიური სამშენებლო პროგრამის შესასრულებლად საჭიროა დეკემბერში ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცეს ძირითადი საწარმოო ფონდები წლიური გეგმის 63,7 პროცენტის ოდენობით, საცხოვრებელი ფართობი — 44,7 პროცენტის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები — 27,8 პროცენტის, სკოლამდელი დაწესებულებები — 34,1 პროცენტის, საავადმყოფო საწოლები — 57,3 პროცენტის, პოლიკლინიკები — [illegible] პროცენტის, კულტურის სახლები 87,9 პროცენტის ოდენობით. მდგომარეობა გაამწვავა იმანაც, რომ მიმდინარე კვარტალში წინა პერიოდთან შედარებით რამდენიმე შენელდა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკამ შეასრულა ოქტომბერ-ნოემბერში საცალო საქონელბრუნვის გეგმები, ამ საქმეში მდგომარეობა კვლავინდებურად დაძაბულია, რაც უწინარეს ყოვლისა აიხსნება სასაქონლო რესურსების შეზღუდულობით. ასეთ პირობებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უაღრესად შეუწყნარებლად მიიჩნია ცალკეული სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და მისი სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობა.

სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეებს დაევალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დეკემბერში და მთლიანად 1988 წელს მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გეგმების უთუო შესასრულებლად. შემდგომში არ დაუშვან წლის ბოლოსათვის საგეგმო დავალებათა მთელი სიმძიმის გადატანა, რაც რეალურ საფრთხეს შექმნის წლიურ დავალებათა შესრულების საქმეში.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ. (საქინფორმი).

გამოჩენილი მკვლევარი და პატრიოტი

თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის შალვა ნუცუბიძის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც დღეს დამთავრდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფილოსოფოსთა საზოგადოების მიერ მოწყობილ სესიაზე ორი დღის განმავლობაში მოისმინეს ოცდაათამდე მოხსენება, რომლებიც ეხებოდა ფილოსოფიისა და მსოფლმხედველობის, აღმოსავლური რენესანსის პრობლემებს. თვალსაჩინო სპეციალისტთა გამოსვლებსა და მოგონებებში ლაპარაკი იყო მოაზროვნის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მსოფლიო მეცნიერებაში, ქართულ მეცნიერებასა და კულტურაში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ზ. ა. ჩხეიძე. (საქინფორმი).

მოსახლეობის საკავშირო აღწერა საყოველთაო-სახალხო საქმეა

მოსახლეობის რიცხვის, შემადგენლობისა და ტერიტორიული განლაგების მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად არის მიჩნეული მოსახლეობის მორიგი საკავშირო აღწერა მოეწყოს 1989 წლის იანვარში. აღწერა ყველაზე დიდი და რთული სტატისტიკური სამუშაოა, და ამიტომ ისევე როგორც უწინ, დაკისრებული აქვთ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტებს. აღწერის წარმატებული მომზადებისა და ჩატარების დიდმნიშვნელოვანი პირობაა მოსახლეობაში მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის მაღალი დონე. წინანდელი აღწერების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმაზე, თუ რამდენად აქტიურად წარმოებს ეს მუშაობა, დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ აღწერის ამოცანათა ცოდნის დონე, მისი დამოკიდებულება აღწერისადმი, დახმარება აღწერის პერსონალისადმი, აღწერის ფურცლის კითხვებზე პასუხის სისწორე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ბასარიამ ილაპარაკა მოსახლეობის აღწერის პოლიტიკურ და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობაზე, მის თავისებურებებსა და ძირითად პრინციპებზე. მომავალი აღწერა საშუალებას მოგვცემს თვალი გავადევნოთ წინა აღწერის შემდეგ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილებებს. მისი მასალები საფუძვლად დაედება ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მეცამეტე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივ პერიოდში.

აღწერის კარგად ჩატარებისათვის გაწეული მუშაობა პრესკონფერენციაზე მიმოიხილეს საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თ. რატიანმა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგემ გ. ფირცხალავამ. ითქვა, რომ, შეინარჩუნებს რა ძირითადად წარსული აღწერის მემკვიდრეობითობას, მომავალ აღწერას ექნება უამრავი თავისებურება. მაგალითად, თუ 1979 წლის ანკეტაში 16 კითხვა იყო, ახლა 25-ია. აღწერის ფურცლების კითხვებზე მოსახლეობის პასუხის ჩანაწერებს აწარმოებენ მრიცხველები გამოკითხულთა სიტყვებით, ყოველგვარი დოკუმენტების წარუდგენლად. მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობას მიიღებს 16 ათასი აღმწერი, სულ კი მასალების შეგროვებაზე, დამუშავებაზე, აღწერასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებზე დასაქმებული იქნება 40 ათასი კაცი. პრესკონფერენციაზე დაისვა მრავალი კითხვა, რომლებზეც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებმა ამომწურავი პასუხი მიიღეს. (საქინფორმი).

თუ შენ კომკავშირელი ხარ...

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის 21-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე, შეიქმნას საქართველოს სსრ ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

№ 161 თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქი

პროფოვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე — ვაგონების გამსინჯველი, თბილისის სატვირთო სავაგონო დეპოს შრომითი კოლექტივისაგან;

აფანასიევა ვალენტინა ევგენის ასული — უმცროსი მეცნიერი მუშაკი, საწარმოო სამეცნიერო გაერთიანება „ისარის" შრომითი კოლექტივისაგან;

ბაკურაძე მაია გიორგის ასული წუნმდებელი, თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

გაჩეჩილაძე გივი სერგოს ძე — ხარატი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

თედიაშვილი თამარ ზაქარიას ასული — მუშა, თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანებისაგან;

თევდორაშვილი მედეა ნიკოლოზის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის მდივანი, თბილისის ლენინის რაიონის ქალთა საბჭოსაგან;

კაპანაძე ნინო ქართლოსის ასული — რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კუხალაშვილი ბადრი იოსების ძე — ბრიგადირი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" შრომითი კოლექტივისაგან;

სავენკოვა ტატიანა პეტრეს ასული — მკერავი, თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

სიხარულიძე ლარისა იოსების ასული — ზეინკალი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" შრომითი კოლექტივისაგან;

ყაულაშვილი რუზანა ლევანის ასული — მრთველი, თბილისის სართავი ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

ჩივაძე ზურაბ დავითის ძე — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორი, ქ. თბილისის ლენინის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ჩხეიძე რევაზ ტარასის ძე — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „საკვებაროამტკომპლექსის" დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის ლენინის რაიონული საბჭოსაგან;

პიპინაძე გურამ ილიას ძე — ზეინკალი, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" შრომითი კოლექტივისაგან;

ხარატიშვილი ლელა მუზას ასული — მკერავი, თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 162 თბილისის გლდანის საარჩევნო ოლქი

ბუგუშვილი ელიზა გიორგის ასული — წუნმდებელი, თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

გორგაძე თენგიზ გიორგის ძე — მძღოლი, თბილისის მსუბუქი ტაქსომოტორების № 3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

დავითაშვილი ნინო გიორგის ასული — მუშა, საქსახაგრომრეწვის საწარმოო გაერთიანება „თბილღვინის" შრომითი კოლექტივისაგან;

ზურიკაშვილი ზინაიდა მიხეილის ასული — მუშა, თბილისის ქამვოლური დართვის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

თევდორაძე ირინე ლევანის ასული — რაიკომის მდივანი, თბილისის გლდანის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

კურტანიძე გიორგი ნიკოლოზის ძე — ბრიგადირი, თბილისის ფოლადთუჯსასხმელი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

მეიშვილი იური სიმონის ძე — ქარხნის დირექტორი, თბილისის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

მეხსი გურამ ბესარიონის ძე — მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის გლდანის რაიონის ფორი მოსულიშვილის სახელობის მიკრორაიონის საბჭოსაგან;

მურაჩაშვილი გია გიორგის ძე — მემანქანის თანაშემწე, თბილისის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ოთარაშვილი ეთერ ბეჟანის ასული — სახალხო დეპუტატთა გლდანის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების უფროსი ეკონომისტი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გლდანის რაიონული ორგანიზაციისაგან;

პეტრიაშვილი გიორგი მიხეილის ძე — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის № 3 სახლსაშენებელი კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

რატიანი ნინელი ილიას ასული — ინსტიტუტის დირექტორი, საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

ლონლაძე ნანა ვახტანგის ასული — მქსოვი, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" შრომითი კოლექტივისაგან;

ჩანტლაძე რომან ტარიელის ძე — ბრიგადირი, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ქობეხოვა ლამარა ლევანის ასული — ბუღალტერი, ავჭალის სილიკატური საკედლი მასალების ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 163 თბილისის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი

აბესოვა მაიანა მამედის ასული — ტელეფონისტი, თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის შრომითი კოლექტივისაგან;

ბერიკაშვილი ზაირა მიხეილის ასული — განყოფილების გამგე, კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კოლექტივისაგან;

გოგიაშვილი თემურ გიორგის ძე — ბრიგადირი, „თბილგვირაბმშენის" № 32 მეგვირაბეთა რაზმის შრომითი კოლექტივისაგან;

ვაშაკიძე ვერა ივანეს ასული — ინსტიტუტის დირექტორი, შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

მექვაბიშვილი მარინა ელდარის ასული — მკერავი, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

ოვსიანიკოვა ნუნუ ნიკოლოზის ასული — რაიკომის მდივანი, თბილისის ოქტომბრის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

პიტავა გიორგი თეიმურაზის ძე — დურგალი, თბილისის ექსპერიმენტული ავეჯის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

პოტიომკინი იგორ ბორისის ძე — ზეინკალი, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

სანიკიძე თამაზ ევგენის ძე — დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივისაგან;

ფეიქრიშვილი მანანა ვიგენტის ასული — მასწავლებელი, თბილისის № 31 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

შავშიშვილი დონარა ალექსანდრეს ასული — ინჟინერი, თბილისის ფოსტამტის შრომითი კოლექტივისაგან;

ძნელაძე ვალენტინ სოფრომის ძე — ლინოტიპისტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჰიპაშვილი ნინო ბონდოს ასული — რაიკომის მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის ოქტომბრის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხიზანიშვილი ოთარ აკაკის ძე — ზეინკალი, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ხიხაძე დავით ამბროსის ძე — მუშა, თბილისის მეტროპოლიტენის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 164 თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქი

აგაჯანოვა ალა გურგენის ასული — სასწრაფო დახმარების ავტობაზის ბუღალტერი, წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბერიაშვილი მანანა გიორგის ასული — ეკონომისტი, საწარმოო გაერთიანება „თბილხორცის" შრომითი კოლექტივისაგან;

გაბრიჭიძე ლია კარლოს ასული — ინჟინერი, თბილისის მაკარონის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

გამარჯვებაძე ინგა აკაკის ასული — მუშა, საწარმოო გაერთიანება „თბილმარგარინმრეწვის" შრომითი კოლექტივისაგან;

გიორგაძე გივი სერგოს ძე — თბილისის № 120 ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გუგეშაშვილი ნუგზარ მიხეილის ძე — ინჟინერი, ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

დუმბაძე მადონა ანდროს ასული — მთავარი ტექნოლოგი, თბილისის კერამიკული კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

ელგენდაშვილი მერაბ გიორგის ძე — მხატვარი, თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

თოიძე ნელი ლევანის ასული — თბილისის № 89 საშუალო სკოლის მასწავლებელი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ლავერნნიუკი ვალენტინა ბორისის ასული — ტექნიკური განყოფილების უფროსი, თბილისის პურპროდუქტების კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

ლაფერაშვილი ქეთევან ვახტანგის ასული — მუშა, „დინამოს" საქართველოს საბჭოს თბილისის უქსოვადი ფართლეულის საექსპერიმენტო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

მჭედლიძე გულნარა გიორგის ასული — ამწყობი ზეინკალი, საწარმოო გაერთიანება „თბილლითონნაწარმის" შრომითი კოლექტივისაგან;

ფრუიძე ირაკლი ბაქარის ძე — რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ხაჭაპურიძე ნუნუ დავითის ასული — წუნმდებელი, გაერთიანება „საქბიოფარმპრეპარატების" შრომითი კოლექტივისაგან;

ჯამიაშვილი თენგიზ ლევანის ძე — თბილისის № 85 საშუალო სკოლის მასწავლებელი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული ორგანიზაციისაგან.

№ 165 თბილისის საქარხნო საარჩევნო ოლქი

არუთინოვა ინგა ალექსანდრეს ასული — მუშა, თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

აფციაური მაია აკაკის ასული — თბილისის № 94 გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის მასწავლებელი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის საქარხნო რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბაბუტაშვილი გიორგი პართენის ძე — ამწყობი-ზეინკალი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

გამჯაშვილი გიორგი ვლადიმერის ძე — ხარატი, თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანის" შრომითი კოლექტივისაგან;

გოდერძიშვილი დონარა გიორგის ასული — თბილისის № 20 ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმი, წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის საქარხნო რაიონული ორგანიზაციისაგან;

ივანოვა ლუბოვ პავლეს ასული — თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მუშა, თბილისის საქარხნო რაიონის ქალთა საბჭოსაგან;

ირემაშვილი ალექსანდრა ლუარსაბის ასული — მუშა, თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

კორძაძე მალხაზ კამოს ძე — რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის საქარხნო რაიონული ორგანიზაციისაგან;

ლაფერაშვილი გიული ილიას ასული — მუშა, ქარხანა „თბილხელსაწყოს" შრომითი კოლექტივისაგან;

რობიტაშვილი ნუგზარ შალვას ძე — კომბინატის დირექტორი, საქმრეწვკომბინატ „კახეთის" შრომითი კოლექტივისაგან;

ხეროპიანი ლუიზა აღასის ასული — მკერავი, თბილისის საფეიქრო-სავალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელის" შრომითი კოლექტივისაგან;

შოშიტაიშვილი ბადრი შალვას ძე — რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის საქარხნო რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ცერცვაძე ნანული თამაზის ასული — მუშა, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნაროყალას" შრომითი კოლექტივისაგან;

ბუციშვილი მარინა ვახტანგის ასული — ეკონომისტი, საწარმოო გაერთიანება „თბილრძის" შრომითი კოლექტივისაგან;

ჯამასპიშვილი რამაზ გიორგის ძე — ინჟინერი, თბილისის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

№ 166 თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი

არჩვაძე რობიზონ რაჟდენის ძე — მუშა, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

გომართელი ტატიანა გიორგის ასული — თბილისის გრამჩაწერი სტუდიის მუშა, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ზერაქიშვილი ზაქრო სერგოს ძე — თბილისის სამოქალაქო და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერი, საქართველოს ალკკ თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

თეთრუაშვილი გურამ იორდანეს ძე — სკოლის დირექტორი, დუშეთის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

კახიანი ეკატერინე ანდროს ასული — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" მმართველ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის მეურდავი, წყალმაშველი საზოგადოების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კიკალიძე გივი გიორგის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ლადიძე ნინო მურადის ასული — წუნების სამკერვალო ფაბრიკის მუშა, ბუნების დაცვის საზოგადოების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მანჯანაშვილი ნანა გივის ასული — ტყავსაგალანტერეო ფაბრიკის მუშა, წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მინაძე ევგენია ვახტანგის ასული — თბილისის № 126 საშუალო სკოლის მასწავლებელი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

რუხაძე გურამ აკაკის ძე — ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განყოფილების გამგე, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

რევაზიშვილი თენგიზ იოსების ძე — მუშა, მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის შრომითი კოლექტივისაგან;

სოხაძე მერი კონსტანტინეს ასული — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოსაგან;

ფერაძე ზოია იასონის ასული — საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სახლის დირექტორის მოადგილე, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ქალთა საბჭოსაგან;

ლუდუშაური ციცინო მიხეილის ასული — კულტურის განყოფილების გამგე, სახალხო დეპუტატთა ყაზბეგის რაიონული საბჭოს აღმასკომის კოლექტივისაგან;

ხარაძე გიორგი არჩილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის ორჯონიკიძის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

№ 167 თბილისის საბურთალოს საარჩევნო ოლქი

ბაბუხადია ვასილ დიმიტრის ძე — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ყროლოგიის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის საბურთალოს რაიონული საბჭოსაგან;

ბატურინა ლიდია ივანეს ასული — თბილისის № 63 საშუალო სკოლის დირექტორი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საბურთალოს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბერიძე ლალი სერგოს ასული — ლაბორანტი, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის" შრომითი კოლექტივისაგან;

ბულია თეიმურაზ ანდროს ძე — რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ თბილისის საბურთალოს რაიონული ორგანიზაციისაგან;

გუდავაძე ლავრენტი გიორგის ძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის მდივანი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივისაგან;

თინაშვილი მედეა დავითის ასული — მუშა, თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" შრომითი კოლექტივისაგან;

ლაზვიაშვილი ევგენია ნიკოლოზის ასული — მუშა, ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „მაზტრიონის" შრომითი კოლექტივისაგან;

მებურიშვილი ლონდა სიმონის ასული — თბილისის № 161 საშუალო სკოლის დირექტორი, თბილისის საბურთალოს ქალთა რაიონული საბჭოსაგან;

რამიშვილი ნოდარ აკაკის ძე — ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

სულამანიძე დალი დავითის ასული — თბილისის ქალთა მე-11 კონსულტაციის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგე, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის საბურთალოს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ფერაძე ლუიზა ზაქარიას ასული — კორექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის შრომითი კოლექტივისაგან;

ქვარცხავა ჯემალ ილიას ძე — თბილისის მოსაპირკეთებელ მასალათა კომბინატის მუშა, წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის საბურთალოს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხუციშვილი ილია ივანეს ძე — რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის საბურთალოს რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ხუჭაძე რომან ალექსანდრეს ძე — ტექნიკუმის დირექტორი, თბილისის ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმის კოლექტივისაგან;

ჩიტიაშვილი ირმა ვარლამის ასული — მუშა, საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" შრომითი კოლექტივისაგან.

№ 168 ახალქალაქის საარჩევნო ოლქი

აკოფიანი გრიგოლ გნძორის ძე — მუშა, ჩამძვრალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

აროიანი სალავათ ვაზგენის ძე — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ბოგდანოვკის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

აფციაური ასმათ სიმონის ასული — მუშა, თბილისის მექანიკური ქარხნის ასპინძის ფილიალის შრომითი კოლექტივისაგან;

გალუსტიანი ვართან ანდრანიკეს ძე — რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ემპრიკიანი ვალერი სტეფანეს ძე — მასწავლებელი, ახალქალაქის № 2 რუსული საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

იორდანიანი შოჰაკატ ვლადიმერის ასული — მუშა, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანის" ახალქალაქის ფილიალის შრომითი კოლექტივისაგან;

ლუკიანოვა ნადიჟდა გრიგოლის ასული — მუშა, საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის ბოგდანოვკის სამკერვალო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

მაგრაკველიძე ანზორ ზურაბის ძე — კოლმეურნე, ასპინძის რაიონის სოფელ ოთას ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

მელიქიძე როლანდ ბაგრატის ძე — რაიკომის მეორე მდივანი, ახალქალაქის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

მელქონიანი აღასი არუთუნის ძე — საკუთარი კორესპონდენტი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ოსიძე გიორგი ვასილის ძე — საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, კულტურის მუშაკთა ბოგდანოვკის რაიონული ორგანიზაციისაგან;

როო პეტრე იაკობის ძე — მოსამსახურე, დოსააფის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ტონიანი ტიგრან გრიგოლის ძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროჯოლარის ს. შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ჩივჩიანი ემა ალექსანდრეს ასული — კოლმეურნე, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ცინაძე ვასილ პლატონის ძე — საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ასპინძის რაიონული ორგანიზაციისაგან.

№ 169 ახალციხის საარჩევნო ოლქი

ასპანიძე ქეთევან არსენის ასული — ბუღალტერი, ახალციხის რაიონის სოფელ ურავლის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ბალასანიანი ჰაიკ ცოლაკის ძე — მუშა, ახალციხის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან;

დევნოსაძე სირანუშ ალიოშას ასული — მუშა, ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

თოთაძე შოთა იორდანეს ძე — გაერთიანების გენერალური დირექტორი, ახალციხის საწარმოო პოლიგრაფიული გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

ინასარიძე ლენა მიხეილის ასული — რაიკომის მეორე მდივანი, საქართველოს ალკკ ახალციხის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კურტანიძე მზია სევერიანის ასული — მქსოველი, ახალციხის საქსოვი ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

კოვალი გრიგოლ მიხეილის ძე — მოსამსახურე.

მაღრაძე ბიჭიკო შალვას ძე — საქონელმცოდნე, ადგილობრივი მრეწველობის ახალციხის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

მალიძე შოთა სიმონის ძე — ელექტრომონტიორი, ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სავაგონო დეპოს შრომითი კოლექტივისაგან;

მერაბიშვილი ზოია მერაბის ასული — კოლმეურნე, ადიგენის რაიონის სოფელ უდის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

სამსონიძე ილარიონ ამირანის ძე — მუშა, ახალციხის ელექტროძრავების ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

სუხიაშვილი ელენე ივანეს ასული — ექიმი, ადიგენის რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისაგან;

შანიძე შალვა გრიგოლის ძე — რაიკომის პირველი მდივანი, ახალციხის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

შაყულაშვილი ნუგზარ აკაკის ძე — ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჩიტაშვილი რევაზ ივანეს ძე — უბნის უფროსი, ახალციხის ფერადი ქვების მოპოვებისა და გადამუშავების გეოლოგიური პარტიის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 170 ბათუმის საარჩევნო ოლქი

აბაშიძე მერი მამუდის ასული — ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავი-მოტორისტი, ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ადამიანი სვეტლანა გასპარის ასული — მუშა, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

ბერიძე რევაზ ჰაზიმის ძე — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პარტიული კომიტეტის მდივანი, საზღვაო სანაოსნოს პარტიული ორგანიზაციისაგან;

ზამბახიძე დავით ანატოლის ძე — ინჟინერი, ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

ნაკაშიძე ირმა ამირანის ასული — კოლმეურნე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

პამბა ხურია სულეიმანის ასული — კოლმეურნე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფერიის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

სიხარულიძე მარო გრიგოლის ასული — გამყიდველი, ბათუმმრეწვვაჭრობის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

ფირცხალაიშვილი მარინე გერმანეს ასული — ბათუმის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, აჭარის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო ორგანიზაციისაგან;

ფირცხალაიშვილი მედეა გიორგის ასული — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ელექტროსანავიგაციო აპარატურის სარემონტო განყოფილების მუშა, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირული ორგანიზაციისაგან;

ქიძინიძე მერაბ ალის ძე — საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ ბათუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ქერიდი სოფო სოკრატეს ასული — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის კოლმეურნე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ხელვაჩაურის რაიონული ორგანიზაციისაგან;

შარაძე ბინალი ისრაფილის ძე — მუშა, ხელვაჩაურის რაიონის გონიოს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჩაჩუა ზაურ აკაკის ძე — დოკერი-მექანიზატორი, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

ჩუნაკოვი ალექსანდრე ვიქტორის ძე — მუშა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

ხარაზი მამია სერგოს ძე — ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატის დირექტორი, ბათუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან.

№ 171 ბოლნისის საარჩევნო ოლქი

ერისთავი ზურაბ ალექსანდრეს ძე — პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

იუსუბოვი ზაჰიდ მამედთაგი ოღლი — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, მარნეულის რაიონის კასუმლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

კილინკაროვა ნელი პეტრეს ასული — მარნეულის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს ალკკ მარნეულის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ლაბაძე ლალი ვახტანგის ასული — მუშა, ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

მამედოვი ბაირამ ჰუსეინკული ოღლი — მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, მარნეულის რაიონის ალგეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

მამედოვი მასიმ მანსირ ოღლი — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, მარნეულის რაიონის სადახლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

მამედოვი ფარამათ ჯალილ ოღლი — მძღოლი, მარნეულის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

მოსიაშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე — მექანიზატორი, ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ნაბიზადე აკიფ მამუდის ძე — რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ბოლნისის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ნაუმენკო ბორის ეფიმის ძე — ელექტროზეინკალი, ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

ნინიევა ნაზი ვლადიმერის ასული — ზოოტექნიკოსი, ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

ომაროვა ესმერალდა იმდათ ყიზი — არუხლოს საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის აღრიცხვის სექტორის გამგე, საქართველოს ალკკ ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ცარციძე მარიკო ბიკენტის ასული — მუშა, მარნეულის რაიონის წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ხაჩატუროვი გრიშა მიხეილის ძე — შემდუღებელი, ბოლნისის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

ჯაფარიძე შოთა ვლასის ძე — განყოფილების გამგე, მარნეულის საქალაქო სარაიონთაშორისო საავადმყოფოს მედპერსონალისაგან.

№ 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი

ბერია გოგი იაკიმეს ძე — მთავარი ექიმი, ჩხოროწყუს რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისაგან;

დანელია ზურაბ ვლადიმერის ძე — გეგეჭკორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილე, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გეგეჭკორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

დუნდუა გურამ ბონდოს ძე — მექანიზატორი, აბაშის რაიონის სოფელ მარნის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

თოფურია მერი იოსების ასული — ინსტრუქტორ-რევიზორი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კაკულია გურამ დავითის ძე — რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, გეგეჭკორის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

კილახონია რუსუდან ვაჟიკოს ასული — კოლმეურნე, გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

კრილოვა მანონი ოთარის ასული — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ ჩხოროწყუს რაიონული ორგანიზაციისაგან;

კუცია გურამ ხუტას ძე — აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მოსიძე გიორგი იაკინთეს ძე — კოლმეურნე, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

რუხებია ვარდისა გივის ასული — აბაშის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მეზხორე, საქართველოს ალკკ აბაშის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხიგუა ვარდო ანთიმოზის ასული — მუშა, გეგეჭკორის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

ხიჭინავა ველოდი ღუღუნის ძე — კოლმეურნე, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ქვარცხავა ისიდორე კონსტანტინეს ძე — ტექნოლოგი, ჩხოროწყუს № 1 ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

ძერია ზამირა ტარასის ასული — კოლმეურნე, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ხუროძე ავთანდილ ლაზარეს ძე — ტექნიკუმის დირექტორი, გეგეჭკორის ა. მ. ჭოჭუას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

№ 173 გორის საარჩევნო ოლქი

ბარჯაძე სვეტა დიმიტრის ასული — მუშა, გორის № 1 საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

გოგიაშვილი ზაირა სიმონის ასული — კოლმეურნე, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გუშარაშვილი ოთარ პავლეს ძე — ბრიგადირი, ქარელის რაიონის კოლმეურნეობა „ქართლის" კოლმეურნეებისაგან;

კობერიძე ირაკლი პავლეს ძე — ოსტატის თანაშემწე, გორის ბამბეულის № 1 საქსოვი ფაბრიკის საწარმოო საფეიქრო-სამკერვალო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

მგალობლიშვილი მანანა ალექსანდრეს ასული — გორის რაიონის პიონერთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მეგრელიშვილი დავით სოლომონის ძე — გორის რაიონის მეველის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, გორის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

მაზმიშვილი თეიმურაზ ზაქარიას ძე — გორის რაიონის ტირძნისის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მახურაშვილი ნანა ვაჟას ასული — მუშა, გორის რაიონის სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის შრომითი კოლექტივისაგან;

საბაშვილი იოსებ შოთას ძე — რაიკომის მეორე მდივანი, საქართველოს ალკკ გორის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სიდამონიძე როლანდ ივანეს ძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ქარელი თენგიზ გლახოს ძე — მექანიზატორი, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ქოქაშვილი ნანული სერგოს ასული — ქარელის მეორე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქარელის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ქოჩლაძე ანგი ბიძინას ძე — გორის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გორის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ცერცვაძე გიორგი ალექსანდრეს ძე — სტრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, გორის რაიონის სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ჯაშაშვილი გულნარა სოსოს ასული — რაიკომის მდივანი, გურჯაანის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

№ 174 გურჯაანის საარჩევნო ოლქი

აკოფაშვილი სოლომონ გერონტის ძე — ბრიგადირი, გურჯაანის რაიონის მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ბადრიაშვილი ნანა თენგიზის ასული — კოლმეურნე, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გონაშვილი გულნარა რევაზის ასული — მთავარი ექიმის მოადგილე, გურჯაანის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისაგან;

დვალიშვილი ტიბერი შალვას ძე — გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ელიკაშვილი ნელი ლადიკოს ასული — კოლმეურნე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ლიპარტაშვილი ვანო ნიკოლოზის ძე — კოლმეურნე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ლაფერიშვილი ხათუნა ტარიელის ასული — ტელეფონისტი, კავშირგაბმულობის საგარეჯოს რაიონული კვანძის შრომითი კოლექტივისაგან;

მათიაშვილი ვლადიმერ ალექსის ძე — საგარეჯოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეჯოს რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

მუხულიშვილი ლამარა გრიშას ასული — მუშა, გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

სიბაშვილი დალი ვასილის ასული — მუშა, გურჯაანის რაიონის ველისციხის სანერგე მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

სონიშვილი შალვა ფრიდონის ძე — ელექტრიკოსი, საგარეჯოს საბურავების შემკეთებელი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ფირანიშვილი ლიანა სრულის ასული — კოლმეურნე, საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

შალვაშვილი ნუნუ ნიკოლოზის ასული — გურჯაანის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან;

შაველაშვილი გიორგი შოთას ძე — მუშა, გურჯაანის სარემონტო-მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ჰუნიაშვილი გულჩორა გიორგის ასული — რაიკომის მდივანი, გურჯაანის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

№ 175 ზესტაფონის საარჩევნო ოლქი

ბოგველიძე მარინა ვაჟას ასული — მუშა, ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაკომპლექსის შრომითი კოლექტივისაგან;

გამეზარდაშვილი ილია გერმანის ძე — მთავარი მექანიკოსი, თერჯოლის რაიონის ჩხარის იატაკის ფილების ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

გოგოლაძე ინული გიორგის ასული — კოლმეურნე, ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გუნიავა ციცო ლევანის ასული — მუშა, სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ქარხანა „სიკაბელის" შრომითი კოლექტივისაგან;

ზარნაძე მაყვალინა ნოდარის ასული — თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის მასწავლებელი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თერჯოლის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კაპანაძე მზია ტიტიკოს ასული — თერჯოლის რაიონის სათამბაქოსაბჭოს მეაბრეშუმე-აგრონომი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის თერჯოლის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კლდიაშვილი ვახტანგ დავითის ძე — კოლმეურნე, თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

კობახიძე გიუზი ვალერიანის ძე — ბრიგადირი, ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

მჭედლიძე გოდერძი შოთას ძე — ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ნიკაბაძე მურთაზ შურას ძე — სკოლის დირექტორი, ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

სამხარაძე ნაზი ნიკოლოზის ასული — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მარსის" ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი, ზესტაფონის რაიონის ქალთა საბჭოსაგან;

(გაგრძელება მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

(გაგრძელება)

...ხარაძე მერთაზ ვლადიმერის ძე — საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ზესტაფონის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

...ქუჩაკაშვილი ამირან ნიკოლოზის ძე — რაიკომის მეორე მდივანი, ...რჯოლის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

...ხარაბაძე დალი ავთანდილის ასული — კოლმეურნე, ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

...ჯანკვეტაძე აზა ომარის ასული — მუშა, თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 176 ზუგდიდის

საარჩევნო ოლქი

...ავალიანი გივი სამსონის ძე — ...კოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე, მესტიის რაიკოოპერაციის შრომითი კოლექტივისაგან;

...ზამირა მეგონის ძე — მთავარი ინჟინერი, ზუგდიდის ...ერთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

...დაზმირ ვალიკოს ძე — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, საწარმოო გაერთიანება „საქართლდმრეწვის" შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

...ოდუა ნინო ვარლამის ასული — კოლმეურნე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

...ცხაცხელია ლუარა ვარლამის ასული — პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციისაგან;

...მიქავა თემურ გრიგოლის ძე — მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში, ზუგდიდის რაიონის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისაგან;

...როგავა ვაჟა ნიკოლოზის ძე — მძღოლი, წალენჯიხის ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

...ფაყავა ლული ბაგრატის ასული — კოლმეურნე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

...ფიფია გურამ მელენტის ძე — საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ზუგდიდის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

...ნანი მიხეილის ასული — მუშა, ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

...ქარცხაია მაია გივის ასული — კოლმეურნე, საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციისაგან;

...მაია ტუჩას ასული — ...ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

...გივი ჯონჯოროს ძე — კოლმეურნე, წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

...ნონა ელეფთერის ასული — ზუგდიდის [illegible] მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

... [illegible] კოლექტივისაგან.

№ 177 ქობულეთის

საარჩევნო ოლქი

...შალვა ოსმანის ძე — ...რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, ქედის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

... [illegible] ასული — მასწავლებელი, ხულოს [illegible] სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

...ოლია კაზიმის ძე — ბრიგადირი, ქედის რაიონის სოფელ [illegible] კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

...მაყვალა დურსუნის ასული — კოლმეურნე, ქედის რაიონის [illegible] კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

... [illegible] ზაქრის ძე — ...კომპარტიის რაიონის კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგე, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის [illegible] რაიონული ორგანიზაციისაგან;

... [illegible]

ბულეთის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

პაქსაძე ოთარ ხასანის ძე — სკოლის დირექტორი, ხულოს რაიონის კორტოხის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ფუტკარაძე გულნარა თამაზის ასული — შუახევის რაიონის სოფელ დღვანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, საქართველოს ალკკ შუახევის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჰანტურია იულია გრიგოლის ასული — ბრიგადირი, ქობულეთის რაიონის აჭყვას ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

ჭაყელი ქუქუნა დავითის ასული — კოლმეურნე, ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ჯიბლაძე ალექსანდრე ხასანის ძე — რაიკომის მეორე მდივანი, შუახევის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

№ 178 ქუთაისის

საარჩევნო ოლქი

გამთენაძე რამაზ პავლეს ძე — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ ქუთაისის ლენინის რაიონული ორგანიზაციისაგან;

გუბელაძე ოქტიაბრინა სამსონის ასული — საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის აპარატის კოლექტივისაგან.

გუგავა ჯიმშერ ვასილის ძე — გამმართველი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ამკრებ-მექანიკური წარმოების შრომითი კოლექტივისაგან;

თათეიძე ანტონ ერმილეს ძე — მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი, ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

თვალოძე ეთერ იაშას ასული — წუნდმდებელი, ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან;

კაპანაძე ანგუსი ვასილის ძე — მემანქანე, ამიერკავკასიის რკინიგზის ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს შრომითი კოლექტივისაგან;

კორობკოვი ანატოლი ტიხონის ძე — ელექტროდამრეგულირებელი, ქუთაისის მექანიკური ქარხნის № 2 საამქროს შრომითი კოლექტივისაგან;

ლეჟავა ირმა გრიგოლის ასული — ოპერატორ-კონტროლიორი, ქუთაისის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძის შრომითი კოლექტივისაგან.

მეფარიძე ლია შოთას ასული — მკერავი, ქუთაისის ს. მ. კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების მეთაური საწარმოს № 1 საამქროს შრომითი კოლექტივისაგან;

სერგეევი მურმან კონსტანტინეს ძე — ბრიგადირი, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ფაჩუაშვილი ჯეირან ნიკოლოზის ძე — საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილებისა და სამხატვრო სახელოსნოების შრომითი კოლექტივისაგან;

ქანდარია ნუნუ სიმონის ასული — პედაგოგ-მეთოდისტი, ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის № 2 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ჩახუნაშვილი ლილი ვლადიმერის ასული — ფეიქარი, ქუთაისის ბამბასაქსოვი საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

ცირამუა ნინო ვახტანგის ასული — გაზეთ „ქუთაისის" რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე, ქუთაისის ქალთა საქალაქო საბჭოსაგან;

ჭუდელი დალი დავითის ასული — მთავარი ექიმი, ქუთაისის ბავშვთა № 1 პოლიკლინიკის სამედიცინო პერსონალისაგან.

№ 179 მახარაძის

საარჩევნო ოლქი

ბურჭულაძე კობა სოსოს ძე — კოლმეურნე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ სამების კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

დემკოვა ნინო ალექსანდრეს ასული — მუშა, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

დობორჯგინიძე ნათელა სიმონის ასული — რაიკომის მეორე მდივანი, საქართველოს ალკკ მახარაძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ლეჟავა ციალა გრიშას ასული — დირექტორის მოადგილე, მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ლომაძე ალბერტ შალვას ძე — რაიკომის მეორე მდივანი, ლანჩხუთის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

მელაშვილი ცისანა ნიკოლოზის ასული — კოლმეურნე, მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

მშვიდობაძე ლილი ვასილის ასული — ექიმი, ლანჩხუთის რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისაგან;

სიხარულიძე თენგიზ გიორგის ძე — მუშა, საწარმოო გაერთიანება ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ჩოხატაურის ფილიალის შრომითი კოლექტივისაგან;

შავიშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე — რაიკომის მეორე მდივანი, მახარაძის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

შეწირული არკადი ანტონის ძე — მასწავლებელი, მახარაძის კვების მრეწველობის ტექნიკუმის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ჩიკაშუა ეველინა კალისტრატეს ასული — მასწავლებელი, ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

წილოსანი ტიტიკო ვლადიმერის ძე — მუშა, ლანჩხუთის რაიონის ჩაის ექსპერიმენტული საწარმოო კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

ჰუონია მაია იაკობის ასული — კოლმეურნე, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთის კოლმეურნეებისაგან.

№ 180 მცხეთის

საარჩევნო ოლქი

ახვლედიანი ჭულული არსენის ძე — მცხეთის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი, მცხეთის სამედიცინო გაერთიანების კოლექტივისაგან;

ბექაური ირინე შალვას ასული — ზოოტექნიკოსი, თიანეთის რაიონის თიანეთის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

გახელაძე მამუკა ალექსანდრეს ძე — კოლმეურნეობის ელექტროზეინკალი, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გოცირიძე დავით რევაზის ძე — მეურნეობის დირექტორი, მცხეთის სატყეო მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ელისაბედაშვილი სოფიო ვახტანგის ასული — რაიკომის მდივანი, კასპის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ვაჩნაძე შალვა როსტომის ძე — მთავარი აგრონომი, თიანეთის რაიონის ტუშურების მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ზაქაიძე ნელი გრიგოლის ასული — პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის მცხეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

თათარაშვილი ნანა აკაკის ასული — მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, მცხეთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

თითირაშვილი ლუიზა გაბრიელის ასული — იურისკონსულტი, კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის აპარატის კოლექტივისაგან;

კაციაშვილი ანზორ გიორგის ძე — ბრიგადირი, საწარმოო გაერთიანება „კასპიცემენტის" შრომითი კოლექტივისაგან;

სიდამონიძე როლანდ არჩილის ძე — ბრიგადირი, კასპის რაიონის სოფელ ოკამის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ქისტაური დალი დავითის ასული — მუშა, მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტრის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჩხეიძე თემურ დავითის ძე — კასკადის დირექტორი, ზაჰესის კასკადის შრომითი კოლექტივისაგან;

ჰრელაშვილი იაგო გრიგოლის ძე — მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის თიანეთის რაიონული საწარმოს მთავარი ინჟინერი, თიანეთის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ჭალალი თენგიზ გივის ძე — ბრიგადირი, ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" შრომითი კოლექტივისაგან.

№ 181 ოჩამჩირის

საარჩევნო ოლქი

აგრბა ნოდარ ინვარბეის ძე — რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ ოჩამჩირის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბახლანძე ნუგზარ ხუხუტის ძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გალის რაიონის სოფელ მუხურის ჭგუბურის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გელენავა ბადრი ალექსანდრეს ძე — სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, გალის საქალაქო სამომხმარებლო კოოპერაციის შრომითი კოლექტივისაგან;

გუდაბანძე ნაზო ნოდარის ასული — მუშა, გალის რაიონის გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

გურგულია მიხეილ ალმასხანის ძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის კოლმეურნეობა „კუტოლის" კოლმეურნეობისაგან;

დილვა ზაურ პეტრეს ძე — რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, ოჩამჩირის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ელიავა ქეთო არდაშელის ასული — გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, საქართველოს ალკკ გალის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კვარაცხელია ინდირა ვლადიმერის ასული — კოლმეურნე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის კოლმეურნეობა „კომკავშირის" კოლმეურნეებისაგან;

ლატარია ზურაბ იროდიონის ძე — გალის ეთერზეთოვანთა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის გალის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხვანიძე ლალი მუქრის ასული — მუშა, ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ტაშჩიანი მათეოს გევორქის ძე — სამშენებლო სამმართველო „ტყვარჩელშახტმშენის" მებათქმეთა კომპლექსურ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ქვაჩახია მარინე ვალიკოს ასული — მუშა, ტყვარჩელის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

შინკუბა თინა აქსენტის ასული — მეთოდისტი, ოჩამჩირის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის კოლექტივისაგან;

ჩარაია ვახტანგ პაჩეს ძე — კავშირგაბმულობის უბნის უფროსი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

ხახაია ნაზიბროლა ხუტას ასული — გალის რაიონის ოჩამჩირის აგროკომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი, გალის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

№ 182 რუსთავის

საარჩევნო ოლქი

ალავიძე ბონდო ალექსანდრეს ძე — მეურნეობის დირექტორი, გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

გრიგორიანი არარატ ივანეს ძე — ბრიგადირი, რუსთავის ცემენტის ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ზაქრაძე გრიგოლ ალექსანდრეს ძე — ეკონომისტი, რუსთავის ამწესამშენებელი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

კამიშნი ალექსანდრე ვასილის ძე — ბრიგადირი, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ლომიძე ოთარ ალექსანდრეს ძე — მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

მარგალიტაძე იური შალვას ძე — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

მახარაშვილი ნინო ალექსანდრეს ასული — რუსთავის ხელოვნების სკოლის მასწავლებელი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

მაჰავარიანი იუზა შალვას ძე — საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ღლონტი მაია ნესტორის ასული — რუსთავის საწარმოო-გაერთიანება „ქიმბოჭკოს" მეტრანსპორტე, საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

წახიძე ვლადიმერ გიორგის ძე — მუშა, რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტის" საამქროს შრომითი კოლექტივისაგან;

ხაბარაშვილი თამარ სერიოჟას ასული — ელექტრომემონტაჟე, რუსთავის ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ხუნაშვილი ეკა გიორგის ასული — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" მეაპარატე, საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ჭილვარია აგრაფინა დავითის ასული — ზეინკალი, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" შრომითი კოლექტივისაგან;

ჯალიაშვილი გელა გუგულის ძე — თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პარტკომის მდივანი, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჯიჩოევა ფატიმა ალბერტის ასული — მუშა, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 183 სამტრედიის

საარჩევნო ოლქი

ახალაძე დუშიკო ივანეს ასული — კოლმეურნე, მაიაკოვსკის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ბარაბაძე სიმონ რემანოზის ძე — სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ბალდავაძე დავით სიმონის ძე — მშენებელი ბრიგადირი, საქაგრომშენის №2 საერთო სამშენებლო ტრესტის სამტრედიის №25 მოძრავი მექანიზებული კოლონის შრომითი კოლექტივისაგან;

გრიგოლია ანზორ პეტრეს ძე — რაიონული გაზეთ „წინსვლის" რედაქტორი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციისაგან;

გელაზონია შოთა ბიქტორის ძე — ბრიგადირი, სამტრედიის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ებანოიძე ლუიზა ვალოდიას ასული — კოლმეურნე, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

კიკაჩეიშვილი ველოდ ბარნაბას ძე — მთავარი ინჟინერი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სავაგონო დეპოს შრომითი კოლექტივისაგან;

კორეხელიძე შურა ნოეს ასული — წულუკიძის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსკურსიამძღოლი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის წულუკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

კორძაძე მადონა ისაიას ასული — მასწავლებელი, ვანის რაიონის ს. კიროვის სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

მესხი მადონა მანუელის ასული — რაიკომის მდივანი, ვანის რაიონის პარტიული ორგანიზაციისაგან;

მეფარიშვილი ლამარა აქსენტის ასული — კოლმეურნე, ვანის რაიონის სოფელ მთისძირის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ნიკოლეიშვილი ნონა ამირანის ასული — მუშა, სამტრედიის რაიონის №1 საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

უგრეხელიძე ქეთევან ზაურის ასული — კოლმეურნე, წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ღვალაძე თამარ ბიჭიკოს ასული — რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, საქართველოს ალკკ მაიაკოვსკის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხელაძე ქეთევან დუშას ასული — ექიმი, ვანის რაიონის საავადმყოფო-პოლიკლინიკის სამედიცინო პერსონალისაგან.

№ 184 სიღნაღის

საარჩევნო ოლქი

ათანელიშვილი იოსებ გიორგის ძე — მძღოლი, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ალუღიშვილი თენგიზ გიორგის ძე — ბრიგადირი, საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის" წითელი წყაროს ფილიალის შრომითი კოლექტივისაგან;

გოძიაშვილი ნინო ავთანდილის ასული — მუშა, სიღნაღის რაიონული გაზეთ „კოლმეურნის" რედაქციისა და სტამბის შრომითი კოლექტივისაგან;

იაკობიშვილი არმენ ნიკოლოზის ძე — მწველავი, წითელი წყაროს რაიონის სოფელ ჭაფარიძის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

იახოშვილი ისაკ ვლადიმერის ძე — ზეინკალ-გამმართველი, სიღნაღის რაიონის წნორის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ლათიფაშვილი მაყვალა სანდროს ასული — მევენახე, წითელი წყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ეგნატოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ლეკიაშვილი ნატალია გერონტის ასული — მევენახე, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

მეძღლიშვილი ნინო ვიქტორის ასული — უნივერმაღის გამყიდველი, ლაგოდეხის რაიკოოპკავშირის კოლექტივისაგან;

ნადირაშვილი გულო ელიზბარის ასული — ბრიგადირი, წითელი წყაროს რაიონის სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ნანდოშვილი ლია ილიას ასული — მუშა, ლაგოდეხის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

უხანაშვილი ალექსანდრე ვალიკოს ძე — მთავარი ინჟინერი, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" კოლმეურნეებისაგან;

ღონღაძე თამაზ რაჟდენის ძე — ლაგოდეხის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ყარალაშვილი ლუიზა ზაურის ასული — მუშა, სიღნაღის რაიონის საქობოს მევენახეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჩახვაშვილი კარლო მიხეილის ძე — ბრიგადირი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" კოლმეურნეებისაგან;

ცაბუტაშვილი ვაჟა ივანეს ძე — რაიკომის მდივანი, სიღნაღის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

№ 185 სოხუმის

საქალაქო საარჩევნო ოლქი

აჰბა ასტამურ შალვას ძე — სტუდენტი, აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივისაგან;

ართენიანი ნაზი რობერტის ასული — მკერავი, სოხუმის ტანსაცმლის ინდკერვის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

არშბა ლიმა პავლეს ასული — მასწავლებელი, სოხუმის ნ. ა. ლაკობას სახელობის №10 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ბოროდავკა ალექსანდრა დიმიტრის ასული — ბრიგადირი, სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

გობეჯიშვილი ალექსანდრე კიმოთეს ძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გულრიფშის რაიონის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ვართანიანი მარო სოლომონის ასული — მეთამბაქოე, გულრიფშის რაიონის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეებისაგან;

ვეკუა ნელი იანკოს ასული — მუშა, გულრიფშის რაიონის ბაბუშერის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

თარბა ბორის ივანეს ძე — საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, სოხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ივოჩკინა მარინა აფანასის ასული — საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციისაგან;

კობახიძე ოთარ ალექსანდრეს ძე — მასწავლებელი, გულრიფშის რაიონის კელასურის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ნოდია გიორგი პლატონის ძე — ელექტრომექანიკოსი, სოხუმის საზღვაო ნავსადგურის შრომითი კოლექტივისაგან;

სიგუა დარეჯან მიხეილის ასული — აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 განყოფილების პოლიკლინიკის უბნის თერაპევტი, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის მუშაკებისაგან;

ქაჩიბაია მედეა მიროს ასული — ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშა-კონტროლიორი, სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის" შრომითი კოლექტივისაგან;

ჩოგლიანი მურმან ბორისის ძე — რაიკომის განყოფილების გამგე, საქართველოს ალკკ გულრიფშის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხვარცკია რაისა მეჯითის ასული — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკური ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

№ 186 სოხუმის

სასოფლო საარჩევნო ოლქი

აგრბა გიორგი ხოთხოთის ძე — გუდაუთის რაიონის სოფელ ჭირხვას ხარაზიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გუდაუთის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ბოკუჩავა მზია ამირანის ასული — საქალაქო კომიტეტის სექტორის გამგე, საქართველოს ალკკ გაგრის საქალაქო კომიტეტის კოლექტივისაგან;

გელაშვილი ეთერ გიორგის ასული — მუშა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა „ეშერას" შრომითი კოლექტივისაგან;

კალმუხი ერბერტ ოჰანესის ძე — კოლმეურნე, ქ. გაგრის ზონის სოფელ სალმეს კოლმეურნეობა „მეგობრობის" კოლმეურნეებისაგან;

კარაგოზიანი არტურ არუთინის ძე — კოლმეურნე, სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

კვარაცხელია ემალი ვალიკოს ასული — მასწავლებელი, სოხუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის №3 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ლაკობა ცუცუნა სპირიდონის ასული — გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ლომაკო ევგენი მიხეილის ძე — გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის დისპეტჩერი, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის გაგრის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

მალია ირინე კიამინის ასული — №2 მაღაზიის გამყიდველი, გაგრის საქალაქო კოოპვაჭრობის შრომითი კოლექტივისაგან;

მილორავა ნატო სვეთანდილის ასული — მასწავლებელი, სოხუმის რაიონის აჩადარის საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

მუხერიძე როზა ანდროს ასული — ლაბორანტი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს ქ. გაგრის ჯანმრთელობის კურების გაერთიანება „თბილისის" შრომითი კოლექტივისაგან;

ყიბა ვადიმ ალექსის ძე — გუდაუთის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის გუდაუთის რაიონული ორგანიზაციისაგან;

რეკვავა ძაბული იულიანეს ასული — რაიკომის მეორე მდივანი, სოხუმის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

ჩეჩეროვი ანატოლი ივანეს ძე — ზეინკალი, გუდაუთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან;

ჯალაღონია მზია ვლადიმერის ასული — რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ სოხუმის რაიონული ორგანიზაციისაგან.

№ 187 თელავის

საარჩევნო ოლქი

აფხაზავა ბელა კონსტანტინეს ასული — თელავის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგე, თელავის სამედიცინო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან;

ბახაძიშვილი ციური ოთარის ასული — ახმეტის რაიონის სოფელ მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, საქართველოს ალკკ ახმეტის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბაიხოიძე გივი ივანეს ძე — ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ახმეტის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბენდიანიშვილი ნანი გრიგოლის ასული — რაიკომის მდივანი, თელავის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

ბუტულაშვილი ივანე გივის ძე — ელექტრომეგრაგნილე, თელავის საცდელ-ექსპერიმენტული სარემონტო-მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

გურაბანიძე მერი მარკოზის ასული — მუშა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თელავის" შრომითი კოლექტივისაგან;

ზურაშვილი ვალერი ვასილის ძე — ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ყვარლის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მანოშვილი თამარ ვანოს ასული — კოლმეურნე, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ოთარაშვილი გურამ ზაქარიას ძე — ბრიგადირი, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ფშავლიშვილი მარინე ბაკურის ასული — მუშა, ახმეტის საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

შაბელსკაია ეთერ დიმიტრის ასული — თელავის №3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჩაბრაშვილი ნელი ვლადიმერის ასული — მუშა, ყვარლის რაიონის გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჰინჰარაული შოთა გიორგის ძე — თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, საქართველოს ალკკ თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ხოხროშვილი ზურაბ გიორგის ძე — ინჟინერ-მექანიზატორი, ყვარლის რაიონის ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჯავახიშვილი გივი იოსების ძე — ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ახმეტის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

№ 188 თეთრი წყაროს

საარჩევნო ოლქი

ალთუნაშვილი თენგიზ გლახოს ძე — მანგლისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს ალკკ თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ბედოიძე აკაკი არჩილის ძე — საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ედიშეროვი კონსტანტინე გიორგის ძე — საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, „ხრამჰესის" კასკადის შრომითი კოლექტივისაგან;

თამაზაშვილი იამზე სამსონის ასული — ლაბორანტი, თეთრი წყაროს მეფრინველეობის სახელმწიფო სანაშენე ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

მიქელიანი არარატ გეორქის ძე — მექანიზატორი, წალკის რაიონის კუშის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

მიხაილოვი დიმიტრი ნიკოლოზის ძე — წალკის რაიონის ავრანლოს საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის წალკის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ნასიბოვი იუსუბ სამედ ოღლი — დმანისის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს მექანიზატორი, დმანისის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

პეტროვი ემზარ გიორგის ძე — ინსპექტორი, დმანისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების კოლექტივისაგან;

პოვოდი ვალენტინა ივანეს ასული — მუშა, თეთრი წყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ურუმაშვილი მარინე გიორგის ასული — პარტიული კომიტეტის მდივანი, დმანისის რაიონის ვარდისუბნის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ფრიდინსკაია მარიამ ლეონტის ასული — მასწავლებელი, თეთრი წყაროს №2 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ფუხაევი მიხეილ გურგენის ძე — მექანიზატორი, თეთრი წყაროს რაიონის გარისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ქოთანოვი ხარალამპი იოვის ძე — წალკის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სავეგმო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის წალკის რაიონული ორგანიზაციისაგან;

წიკლაური მელუდი შაქროს ძე — საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციისაგან;

ჰუონიძე დათო ლევანის ძე — რაიკომის მდივანი, საქართველოს ალკკ დმანისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

№ 189 ცხაკაიას

საარჩევნო ოლქი

ადამია დარეჯან ღენტორის ასული — კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

ალანია აპოლონ მოსეს ძე — მშენებელი, ხობის №10 მოძრავ-მექანიზებული კოლონის შრომითი კოლექტივისაგან;

ბებია ანგული ანტიფოს ძე — მუშა, ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის" შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

გოგინავა ნინო მოგელის ასული — მუშა, ცხაკაიას საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

კვაშილავა ქეთევან გრიშას ასული — კონტროლიორი, ცხაკაიას მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

კუხალეიშვილი გერონტი გიორგის ძე — ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ლატარია ერეკლე ვალერიანის ძე — მექანიზატორი, ხობის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთის" შრომითი კოლექტივისაგან;

მიმინოშვილი ნინო ალიოშას ასული — მასწავლებელი, ფოთის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ნიკურაძე გია არტემის ძე — ცხაკაიას საბინაო-კომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექტორი, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციისაგან;

ნინუა ფლორიდა გურამის ასული — მუშა, ფოთის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივის საბჭოსაგან;

სერგია დავით შოთას ძე — კოლმეურნე, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

შელია ადა გიორგის ასული — მასწავლებელი, ხობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

ჰანტურია რუსუდან კარლოს ასული — ზოოლაბორატორიის გამგე, ცხაკაიას მეფრინველეობის რეპროდუქტორის შრომითი კოლექტივისაგან;

ხარაიშვილი დოდო სიმონის ასული — მრთველი, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

ჯანჯღავა რევაზ პოლიკარპეს ძე — საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივანი, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციისაგან.

№ 190 წყალტუბოს

საარჩევნო ოლქი

ბერიძე ბონდო რევაზის ძე — საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, წყალტუბოს საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ბოჭორიშვილი თამილა გიორგის ასული — ტყიბულის №19 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი, ტყიბულის ქალთა საქალაქო საბჭოსაგან;

გობეჯიშვილი თეიმურაზ კონსტანტინეს ძე — ექიმი, ონის რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალისაგან;

გურეშიძე უშანგი ვასილის ძე — შახტის დირექტორი, ტყიბულის ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის შრომითი კოლექტივისაგან;

დარახველიძე გოჩა ვარდენის ძე — საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს ალკკ წყალტუბოს საქალაქო ორგანიზაციისაგან;

დემჩენკო სტანისლავ ალექსანდრეს ძე — ექსკავატორის მემანქანე, „საქგუმბარინის" მაღაროთსამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან;

ერისთავი ანა ვასილის ასული — ონის რაიონის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი, ონის რაიონის კულტურის დაწესებულებების მუშაკთა კოლექტივისაგან;

თევდორაძე თინა მიხეილის ასული — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, ქ. წყალტუბოს ზონის გვიშტიბის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

კოპალიანი რამაზ რაფიელის ძე — რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ლიპარტელიანი შერმადინ რაჟდენის ძე — საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ლენტეხის რაიონის ხოფურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

მუკბანიანი ინგა ალიოშას ასული — მუშა, ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ტყეშელაშვილი გოჩა რუბენის ძე — ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან;

უგლავა ნუგზარ გრიგოლის ძე — საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, წყალტუბოს საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

ფურცხვანიძე მზია დავითის ასული — ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდის კოლმეურნეობის კოლმეურნე, საქართველოს ალკკ ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან;

(დასასრული მე-4 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

(დასასრული)

ჩიქოვანი ლევან ალექსანდრეს ძე — ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე, ომისა და შრომის ვეტერანთა ცაგერის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმისაგან.

№ 191 ცხინვალის

საარჩევნო ოლქი

ბეგაევა ზარემა ილიას ასული — კოლმეურნე, ზნაურის რაიონის სოფელ თერეგვანის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

გაბარაევა ლარისა გიორგის ასული — მკერავი-მოტორისტი, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

გაგლოევი რობერტ ხაზბის ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

გაგლოევა ეველინა ნიკოლოზის ასული — კათედრის გამგე, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგთა კოლექტივისაგან;

გაგნიძე ანდრეი ნიკოლოზის ძე — ზნაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ზნაურის რაიონული ორგანიზაციისაგან;

ვალიევი ვიაჩესლავ სამსონის ძე — მომმინანქრებელი, ცხინვალის ქარხანა „მინანქარსადენის" შრომითი კოლექტივისაგან;

კოზერიძე ციცინო სულიკოს ასული — მუშა, ცხინვალის რაიონის თამარაშენის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ლოხოვა ზარეტა ნიკოლოზის ასული — ბრიგადირი, ცხინვალის რაიონის კ. ხეთაგუროვის სახელობის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

მელქოევი ვლადიმერ მიხეილის ძე — დირექტორი, ცხინვალის № 2 სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივისაგან;

მეზურნიშვილი გიორგი ვასილის ძე — ზეინკალი, ცხინვალის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

რადტიევა ელმირა დიმიტრის ასული — ლაბორანტი, ჯავის ჩამომსხმელი ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ხუხაშვილი მერი რევაზის ასული — ამრიცხველი, ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

შულიაკი ივანე ერემეის ძე — შემდუღებელი, ცხინვალის მექანიკური ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან;

ცხოვრებოვი ნოდარ ზაურის ძე — მუშა, ჯავის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან;

ჯიოევა მალინა აბრამის ასული — მკერავი-მოტორისტი, ცხინვალის თეთრეულის ტრიკოტაჟის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

№ 192 ჭიათურის

საარჩევნო ოლქი

ბიწაძე ლეილა ვლადიმერის ასული — საქალაქო კომიტეტის მდივანი, ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისაგან;

გურული ნუგზარ ვიტალის ძე — მებიგე, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" პატარიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან;

ზაბახიძე ბიძინა დავითის ძე — აგრონომი, საჩხერის რაიონის სოფელ ორლულის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

თაბაგარი ზურაბ რაჟდენის ძე — პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

იობაშვილი ნარგიზი გრიგოლის ასული — ეკონომისტი, ჭიათურის ზონის სოფელ ზოდის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან;

კაკენაძე რევაზ ვლადიმერის ძე — ელმავლის მემანქანე, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან;

კვინიკაძე ოთარ პავლეს ძე — აგრობანკის ეკონომისტი, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიონული ორგანიზაციისაგან;

მახათაძე რუსუდან კიკას ასული — დისპეტჩერი, წითელი ჯვრის საზოგადოების ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

მეგრელიშვილი აკაკი ივანეს ძე — კადრების ინსპექტორი, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" გამამდიდრებელი ფაბრიკების კომპლექსის შრომითი კოლექტივისაგან;

ხარალიძე ციური აკაკის ასული — მთავარი ექიმი, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან;

ტაბატაძე ნატო ზურაბის ასული — მუშა, ორჯონიკიძის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან;

შეყილაძე ზაირა გრიგოლის ასული — მემანქანე, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან;

ჩაჩანიძე ეთერ მიხეილის ასული — მკერავი, ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან;

ცარციძე მაია ზაქარიას ასული — მასწავლებელი, საჩხერის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ჭილლაძე ლალი ილიას ასული — მასწავლებელი, საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
პ. კვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 14 დეკემბერი.

სომხეთი — ყველას დარდი და საზრუნავი

მხსნელები

ასე უწოდებენ ქართველ მედიკოსებს სომეხი პაციენტები

▼▼

არის მედიცინაში ტერმინი ტრავმული ტოქსიკოზი ანუ ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომი. ეს ნიშნავს ორგანიზმის მოწამვლას ძალზე შევიწროებულ პირობებში ადამიანის დიდხანს ყოფნის გამო. სწორედ ასეთ პირობებში, ნანგრევებისა და ბეტონის ფილების ქვეშ გაატარეს ორი დღეღამე და მეტი ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს პაციენტებმა, რომლებიც სომხეთში მომხდარი მიწისძვრისაგან დაზარალდნენ. ზოგიერთი მათგანისათვის ეს დიაგნოზი სასიკვდილო გახდა. დანარჩენთა სიცოცხლისათვის იბრძვიან ქართველი მედიკოსები.

ხელოვნური თირკმლის განყოფილება. აქ წვანან ყველაზე მძიმე ავადმყოფები, ისინი, რომლებსაც კუნთების ზეწოლისაგან მწყობრიდან გამოუვიდათ თირკმლები და ღვიძლი. ამის შედეგად ორგანიზმისათვის ყველა მავნე ნარჩენები და ტოქსიკური ნივთიერებანი სისხლში გადავიდა. იმისათვის, რომ ეს ადამიანები გადაარჩინონ, დღეში რამდენჯერმე მათ რთავენ ხელოვნური თირკმლის აპარატში, უკეთებენ ჰემოსორბციას, რომლის მეშვეობით იწმინდება სისხლი, ათავსებენ ბაროკამერაში. ავადმყოფთა მძიმე მდგომარეობას ამწვავებს ტრავმები, ფსიქიკური შოკი განცდილის შემდეგ. ჩვეულებრივი კითხვა, რომელსაც პირველ რიგში აძლევ ავადმყოფს — როგორ გრძნობთ თავს, აქ ჰაერშია გამოკიდებული: ბევრს საერთოდ არა აქვს ლაპარაკის თავი. მათ მაგივრად გვიპასუხებენ ექიმები, რომლებიც უკვე რამდენიმე დღეღამეა არც იძინებენ, არც ისვენებენ.

ხელოვნური თირკმლის განყოფილების გამგესთან მერაბ სუთიძესთან ერთად ვჩერდებით ერთ-ერთ საწოლთან.

— კარინა თხუთმეტი წლისაა — თქვა ექიმმა, — მდგომარეობა მძიმეა, დიდხანს იწვა ნანგრევების ქვეშ. პროცედურების შემდეგ ძნელად მოდის გონს.

ჰყავს თუ არა გოგონას ვინმე ცოცხალი? ამ კითხვას ჯერჯერობით ვერავინ ვერ უპასუხებს. განყოფილებაში საერთოდ აკრძალულია სომხეთში მომხდარი ტრაგედიის შესახებ ლაპარაკი. მის ყოველგვარ ხსენებას შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს პაციენტისათვის. მაგრამ ჩანს, რომ ამ ადამიანებს, რომლებმაც სახლკარი დაკარგეს, ბევრმა კი ნათესავებიც, მზრუნველობას არ აკლებენ ყველაზე ახლობელი ადამიანები. საწოლთან ტუმბოებზე ხილი, საჭმელი ალაგია. საავადმყოფოს პერსონალი მათ არ შორდება. და ასეა თითოეულ პალატაში, თითოეულ საწოლთან. მოდიან მოსწავლეები — დაზარალებულებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აკლებენ 25-ე, 126-ე, მე-2 ექსპერიმენტული სკოლების მოსწავლეები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, მრავალი ადამიანი, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მოუარონ ავადმყოფებს, სთავაზობენ სისხლს, პროდუქტებს. ყოველდღიურად უგზავნის პაციენტებს სასმელ-საჭმელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

...სამწუხაროდ, კარინასნაირი განყოფილებაში 27 კაცია. როგორ აეწყობა მათი ცხოვრება, ჯერჯერობით ძნელია ამის თქმა.

— ტრავმული ტოქსიკოზი ვერაგი ავადმყოფობაა, — თქვა რესპუბლიკის მთავარმა ქირურგმა, პროფესორმა სერგი ხუნდაძემ. — თავდაპირველად ავადმყოფმა შეიძლება საერთოდ ვერ იგრძნოს მოწამვლის სიმპტომები — გრძნობს მხოლოდ სისუსტეს, მოდუნებას. იგი ვლინდება მხოლოდ სისხლის ანალიზების შემდეგ. მაგრამ, როცა შევიტყვეთ სომხეთში დატრიალებული ტრაგედია, მივხვდით, რომ ჩვენთან უთუოდ გამოგზავნიდნენ ასეთ ავადმყოფებს. ამიტომ მოვამზადეთ ხელოვნური თირკმლის, რეანიმაციის განყოფილებანი, საავადმყოფოს სხვა სამსახურები. ყველანი დაგვეხმარნენ: სამხედრო ჰოსპიტალმა გამოჰყო ბაროკამერა, სამკურნალო დაწესებულებებმა — საუკეთესო კონსულტანტები. ავადმყოფთა გადარჩენაში მონაწილეობდნენ პრაქტიკულად ყველა სპეციალობის ექიმები.

როცა ხელოვნური თირკმლის განყოფილებიდან გამოვდიოდით, დავინახეთ ქალი, რომელიც პროცედურის შემდეგ პალატაში გადაჰყავდათ.

— ტატიანა მარტიროსიანი ლენინაკანიდან, — წარმოგვიდგა იგი. — ვერავითარი მადლობის სიტყვებით ვერ გამოვთქვამ იმ გრძნობებს, რომლებსაც განვიცდი ქართველი მედიკოსებისადმი. მათ გადამარჩინეს მე, გადაარჩინეს ჩემი თანამემამულენი...

რამდენიმე სართულით ზევით, სადაც ქირურგიის განყოფილებაში წვანან ავადმყოფები, რომელთა სიცოცხლეს უკვე არაფერი ემუქრება და შეუძლიათ ლაპარაკი, გვითხრეს:

— ჩემი მშობლიური ენა სომხურია, ყველაზე საყვარელი კი ქართული. სიტყვა „გენაცვალეს" სამუდამოდ დავიხსომებ...

ეს თქვა გოგონამ, რომელიც მამამისთან, ქალაქ ლენინაკანის ქირურგთან სუკიას აგალარიანთან ერთად, ტრაგედიის შემდეგ მოიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

— არ ვიცი, შეიძლება თუ არა ადამიანებისადმი უფრო მეტი ყურადღება და მზრუნველობა, ვიდრე ეს თქვენმა ექიმებმა, მედდებმა, სანიტრებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა გაგვიწიეს, თქვა ს. აგალარიანმა. — არ არის საჭირო იყო მედიკოსი, რომ მიხვდე: ჩვენი გადარჩენისათვის აქ, თბილისში, პროფესიული და მოქალაქეობრივი გმირობა ჩაიდინეს. ჩვენ ეს არასდროს დაგვავიწყდება. უდიდესი მადლობა ყველას ყველაფრისათვის.

მხსნელები... ეს სიტყვა გვესმოდა ყველასგან, ვისაც თუნდაც სიტყვის თქმა შეეძლო. ძნელია ჩამოთვლა, ვინც დაიმსახურა ადამიანისათვის ეს უდიდესი აღიარება. და მაინც დავასახელებთ იმათ, თუმცა ყველას ვერა. ესენი არიან: ს. ხუნდაძე და მ. სუთიძე, დოცენტი მ. შანიძე, ტრავმატოლოგიისა და ნეიროქირურგიის განყოფილებათა გამგეები ო. ღლონტი და ა. სარია, საერთო ქირურგიის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი გ. არაბიძე, მიმღები განყოფილების გამგე ვ. მიროტაძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ა. ანთაძე, გ. ინგოროყვა, შ. ხეცურიანი, ი. პეტაშვილი, ექიმები ნ. ლეკვეთაძე, აფთიაქის გამგე გ. იაშვილი, ფერშალი ც. გახოკიძე, მედდა ლ. კილასონია, სანიტრები გ. ფოფხაძე, ზ. მანჯავიძე და მრავალი სხვა.

(საქინფორმი).

დღეს განსაკუთრებით განვიცდი დიდ მწუხარებას სომეხი ძმების ტრაგედიის გამო. ბედმა მარგუნა ოციან წლებში მემსახურა ლენინაკანში, ხოლო დიდი სამამულო ომის დროს ვყოფილიყავი წითელი არმიის ერთ-ერთი უძველესი ეროვნული ფორმირების—76-ე სომხური სამთომსროლელი დივიზიის მეთაური.

დივიზია თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო — რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ქართველები — 72 ეროვნების წარმომადგენლები მსახურობდნენ ერთად, მშურად. უმრავლესობა, ცხადია, სომხები იყვნენ.

დიდ სამამულო ომში დივიზიის მეომრებმა სამშობლოსათვის თავდადების ნიმუშები გვიჩვენეს, განსაკუთრებით ისახელეს თავი სტალინგრადის, კურსკის რკალის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის უმაგალითო ბრძოლებში. დივიზიამ სამშობლოს მისცა 40-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი. სტალინგრადისათვის ბრძოლაში მის მეომართა მიერ გამოჩენილი მამაცობისათვის დივიზია 51-ე გვარდიულ დივიზიად გადაფორმდა. მასში მსახურობდნენ ცნობილი სომეხი მწერლები ჰრაჩი ქოჩარი და ამოტ ივანესიანი, კომპოზიტორი აკოფ ხანჯიანი, ცნობილი ქირურგი გრიგორ სუმბათიანი, აზერბაიჯანელი მწერალი ხალილ მუტალიმოვი, ქართველი ექიმი კლარა ხოჭოლავა.

მე, რომელსაც ბედნიერება მხვდა, კარგად გამეცნო ომის გასაჭირის ჟამს სომხებიც და აზერბაიჯანელებიც, გამეგო მათი ძმური და მეგობრული ხასიათი, დღეს სამწუხაროდ, ზოგიერთი არაადამიანის მიერ ეროვნული შუღლის გაღვივების არასასიამოვნო ფაქტების მოწმე ვხდები, და მერე როდის— როცა უჭირს ერს, უდიდესი ადამიანური ტრაგედია მძვინვარებს სომხეთის მიწაზე.

მე, გადამდგარი გვარდიის გენერალი, მოგმართავთ ორივე ეროვნების ძმობ-ვეტერანებო, მისცეთ ხელი ერთმანეთს, თანაუგრძნოთ ჭირში მყოფ ადამიანებს, დაეხმაროთ მათ.

თბილისის ომის ვეტერანებმა გადაწყვიტეს, მიწისძვრით დაზარალებული სომხეთის დახმარების ფონდში შეიტანონ 2450 მანეთი.

ხმა მეტერანთა

ნიკოლოზ თავართქილაძე,
ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი.

ჰუმანური მისია

ჩვენ აქ მოგვიყვანა ადამიანთა უბედურებისადმი დიდმა თანაგრძნობამ, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველა სხვა გრძნობაზე მაღალია, — განაცხადა ჩარლზ რადერსდორფმა, ბერნის (შვეიცარია) კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის სამთავრობო განყოფილების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

რადერსდორფი მეთაურობს 30 შვეიცარიელი მშველელის ჯგუფს, რომელიც ლენინაკანში ჩამოფრინდა, რომ შეეცადოს ნანგრევებიდან ამოიყვანოს ისინი, რომლებსაც ჯერ კიდევ შეიძლება სიცოცხლე შეუნარჩუნონ. მაშველებმა ჩამოიყვანეს ოცი ძაღლი, რომლებიც უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანთა ძებნისათვის არიან გაწვრთნილები.

— მომხდარის შესახებ შევიტყვეთ მეგობრებისაგან ბერნის სეისმოლოგიის ინსტიტუტში, — თქვა რადერსდორფმა. — რეგისტრირებული იყო გრანდიოზული ძალის მიწისძვრა კავკასიონის მთებში. მაშინვე დავიწყეთ მაშველი რაზმის ჩამოყალიბება. მაგრამ ეს უბრალო საქმე არ გამოდგა: ათასი ჩვენი აქტივისტიდან თითოეულს სურდა მონაწილეობა მიეღო ჰუმანურ მისიაში. სსრ კავშირში გამგზავრებასთან დაკავშირებული ფორმალობები ერთ დღეღამეში გადავწყვიტეთ. და აი აქ ვართ, საძმისკენ მიგვიწევს გული.

შვეიცარიელებს ადვილად განასხვავებთ ლენინაკანის ამ ერთ-ერთი გადარჩენილი სახლის სხვა მობინადრეებისაგან, სადაც განლაგდა მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის ოპერატიული შტაბი. მათ აცვიათ მუქი ნარინჯისფერი ქურთუკები, სახელოებზე უკეთიათ წითელი ჯვარი.

შვეიცარიიდან ჩამოსულმა რაზმმა კარგული ბანაკი გაშალა უშუალოდ „თავისი ობიექტის" — საფეიქრო კომბინატის მახლობლად. ჩამოვარდნილმა სახურავმა დაიტანა ასობით მუშა. იმის მიხედვით, თუ რა ნერვულად იქცეოდნენ ნაგაზები და ტერიერები პირველი სეანსის დროს, ყეფდნენ, თათებით თხრიდნენ მიწას, მისახვედრი იყო — რკინა-ბეტონის კონსტრუქციათა ნანგრევებში ადამიანები მოყოლილან.

თუ შვეიცარიელებმა და შვედებმა ეს-ეს არის დაიწყეს მუშაობა, რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულმა ფრანგმა მაშველებმა ნანგრევებიდან უკვე ათობით ადამიანი გამოიყვანეს. ჯერ კიდევ გარიჟრაჟამდე ფრანგი სპეციალისტები ტოვებენ ერევნის სასტუმროს და მიიჩქარიან ლენინაკანში, ხშირად კი რჩებიან იქ და მთელ ღამეს განაგრძობენ თხრას.

სპიტაკში მოქმედებენ იტალიელი მაშველები. მათთან მუდმივი კავშირი აქვს კოსმოსური თანამგზავრის მეშვეობით რომაელ ინჟინერს ფაბრიციო მარინკოლოს, რომელმაც ერევნის სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში პორტატიული რადიოსადგური გამართა.

— გუშინ ძნელი დღე გვქონდა: მხოლოდ ერთი ხუთი წლის გოგონა ამოვიყვანეთ, მაგრამ სამაგიეროდ დაგვიანდა მისი შველა, — თქვა რადისტმა. — გულწრფელად ვიზიარებთ სომხების, ყველა საბჭოთა ადამიანის მწუხარებასა და გულისტკივილს, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციებში ყოველთვის ეხმარებოდნენ სხვა ხალხებს.

სომხეთში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთათვის ინტერნაციონალურ დახმარებას ყოველ წუთს სულ უფრო კონკრეტული ხასიათი ეძლევა. კვლავ ჩამოდიან საჰაერო ლაინერები, რომლებსაც მოაქვთ სოლიდარობის ტვირთი — პროდუქტები, კარვები, თბილი ტანსაცმელი, მედიკამენტები. იზრდება სავალუტო შემოსულობაც სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური ბანკის ანგარიშზე. როგორც აქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რიჟკოვმა, მთელი სახსრები, უკანასკნელ ცენტამდე გადაეცემა სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ რესპუბლიკას, მოხმარდება მისი შედეგების ლიკვიდაციას.

(საქდესი).

შეწირულობათა ყულაბა

მოსკოვი. სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის სამდივნომ სომხეთს გადაურიცხა 200 ათასი მანეთი დაზარალებულთათვის სასწრაფო მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად. კომპოზიტორთა საკავშირო სახლში მაყურებელთა დარბაზის წინ დადგეს ყულაბა შეწირულობისათვის.

გარდა ამისა მოძმე რესპუბლიკაში გაგზავნეს 12-ტონიანი კონტეინერი, რომელიც დატვირთულია პირველი საჭიროების ნივთებით — საწოლებით, თეთრეულით, ჭურჭლით, საოჯახო საგნებით. გასაგზავნად გამზადებულია მეორე კონტეინერი, რომლის საერთო თანხა 50 ათას მანეთს შეადგენს.

ძმობის კანონებით

სომხეთის მიწა-წყალს უბედურება დაატყდა. საშინელი სანახავია სპიტაკი. ქალაქის მცხოვრებლებს პირველნი დაეხმარნენ საქართველოდან ჩასულები. აქ ჩამოვიდნენ „სასწრაფო დახმარების" მანქანები, თვითმცლელები, ავტობუსები დაშავებულთა ევაკუაციისათვის, კავშირგაბმულობის მობილური კვანძი. აქვე არიან საქართველოს პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურისა და თბილისის სხვა ინსტიტუტების სტუდენტური რაზმები — 650-ზე მეტი სტუდენტი.

სპიტაკის მახლობლად კარვების ქალაქია. აქ ანაწილებენ ხანოვაგეს, სათბობს, კარვებს, ტანსაცმელს, თავდადებით შრომობენ ქართველ სტუდენტთა რაზმები...

სურათზე: სპიტაკელმა მცხოვრებლებმა სურსათ-სანოვაგე მიიღეს საქართველოდან.

საქინფორმის ფოტო.

სპორტის ამბები

დახმარების მატჩი

როგორც გაზეთის გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, იტალიის ცნობილმა საფეხბურთო გუნდმა „ნაპოლიმ" სურვილი გამოთქვა თბილისის „დინამოსთან" გამართოს საჩვენებელი მატჩი, რომლის შემოსავალი სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადაირიცხება.

სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კახი ასათიანმა ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ დინამოელები, რომლებიც ახლა შვებულებაში არიან, დიდი გულისმიერებით მოეკიდნენ იტალიელთა ამ კეთილშობილურ ინიციატივას და ერთსულოვნად დათანხმდნენ მიწვევას. თბილისში შეკრების შემდეგ გუნდი აპირებს გაფრინდეს მოსკოვში (21 დეკემბერს), მეორე დღეს კი ნეაპოლში. მატჩის გამართვა ნავარაუდევია 24 დეკემბერს.

ტატამზე ქალებიც გამოვლენ

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში. მოჭიდავეთა ასეთი რანგის შეჯიბრების მასპინძელი არასოდეს ყოფილა ჩვენი ქალაქი. ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ხუთივე კონტინენტის 32-მა ქვეყანამ. ნიშანდობლივია, რომ საბჭოთა კავშირში გამართულ ოფიციალურ შეჯიბრებაში პირველად გამოდიან სამხრეთ კორეისა და ისრაელის წარმომადგენლები. ჩემპიონატს 16 ქვეყნის 56 არბიტრი მოემსახურება, მათ უხელმძღვანელებს გორელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ანზორ ქიბროწაშვილი, რომელსაც ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს.

მრავალი სტუმარი და ოფიციალური პირი გვეწვია. საპატიო სტუმართა შორის იქნებიან სტუდენტური საერთაშორისო სპორტის გენერალური მდივანი, ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელი, საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციათა სხვა ხელმძღვანელები. როგორც ცნობილია, ვაჟების მხარდამხარ სპორტის სასახლეში ქალებიც იასპარეზებენ. ვაჟთათვის ეს იქნება რიგით მეათე ჩემპიონატი, ქალები კი პირველად გაითამაშებენ ჩემპიონატის მედლებს. 17-20 დეკემბერს მოეწყობა პირადი შეჯიბრება რვა წონითს კატეგორიაში, 21 დეკემბერს კი გუნდური პირველობა.

დიდი მუშაობა გასწია ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ჩხეიძე ხელმძღვანელობს. მოსამზადებელ სამუშაოებში ჩაბმული იყო რესპუბლიკის არაერთი უწყება, ორგანიზაცია და საწარმო, დამზადდა ნაირგვარი ატრიბუტიკა და სარეკლამო პროდუქცია, რომლებსაც ჩემპიონატის ოფიციალური ემბლემა ამშვენებს. ამასთან ფართო სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები მოეწყო თვით სპორტის სასახლეში.

ერთი სიტყვით, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ყოველმხრივ მომზადებულია ამ ავტორიტეტული შეჯიბრების მასპინძლობისათვის. ჩემპიონატში ოლიმპიური ასპარეზობის, მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა არაერთი პრიზიორი გამოდის. ასე რომ, სპორტის მოყვარულთ მეტად საინტერესო სანახაობა ელით.

რად აიღეს ქანდაკება?

წერილი „კომუნისტს"

„თბილისქალაქობის" დღეებში რუსთაველის მოედანზე, ახლადრესტავრირებულ კედელთან დაიდგა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ გიორგი ოჩიაურის ბრინჯაოს ქანდაკება „ალორძინება".

რამდენიმე დღის წინ, ღამით ძეგლი ამ ადგილიდან გაქრა. როგორც აგვიხსნეს, ეს მოხდა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობის მითითებით. და ეს გაკეთდა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან, მხატვართა და არქიტექტორთა კავშირებთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მონუმენტური პროპაგანდის კომისიასთან, ქალაქის მთავარ არქიტექტორთან და მთავარ მხატვართან არსებულ სათანადო საბჭოებთან შეუთანხმებლად.

ნუთუ დასაშვებია ასეთი ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება დღეს, საჯაროობის პირობებში? რისთვის არსებობენ კომპეტენტური საბჭოები (და კომისიები, თუ მათთან შეთანხმებისა და მოთათბირების გარეშე თანამდებობის პირებს შეუძლიათ არაკომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება?

ამ შეკითხვებზე პასუხს რესპუბლიკის სამხატვრო საზოგადოება ელის დედაქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობისაგან.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის სამდივნო.

მოდით, ბავშვებს მივხედოთ!

ხელისგულის ფონზე უმწეო გოგონასა და ბიჭუნას გამოსახულება — ეს მარტოოდენ საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდის ემბლემა როდია. ეს იმ ბავშვების დასაცავად კეთილ საქმეთა სიმბოლოა, რომლებსაც ცხოვრებამ სიმწარე არგუნა და მათთვის იგი ტრაგიკულად შემობრუნდა. გავათბოთ, მივუალერსოთ, მშობლის ხიყვარული და ზრუნვა გავრძნობინოთ სხვადასხვა მიზეზის გამო უოჯახოდ დარჩენილ ბავშვს, დავეხმაროთ მას მკვიდრად დადგეს ფეხზე და ბედნიერად ჩაებას დამოუკიდებელ ცხოვრებაში, გამოვაღვიძოთ საზოგადოების სინდისი და შემოვაბრუნოთ ხალხის სულიერი ფიოთშეგნება თანამედროვე ბავშვების გასაჭირისაკენ — ეს მარტო ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა კი არა, ყველას და თითოეული ჩვენგანის ამოცანაა, ხოლო ბავშვთა ფონდის ემბლემით აღნიშნული კონკრეტული საქმეები ჩვენი საერთო ქცევის გამოხატულებაა.

საოჯახო ტიპის საბავშვო სახლების — ობლებისა და მშობელთა მეურვეობას მოკლებული ბავშვების აღზრდის ამ პრინციპულად ახალი ფორმის — მშენებლობა, რომელიც ბავშვთა ფონდმა შემოგვთავაზა და რომელსაც მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავის დადგენილებაში, — შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ასეთი საყოველთაო-სახალხო, კეთილი საქმე.

რას ნიშნავს საოჯახო ტიპის საბავშვო სახლები? ეს არის ერთბინიანი მრავალოთახიანი კოტეჯების საბავშვო ქალაქები, — იქ იცხოვრებენ მშობლები თავიანთი შვილებით, რომლებიც აგრეთვე ზრდიან ობლებსა და უმეურვეოდ დარჩენილ ბავშვებს. ეს არის მრავალოთახიანი ცალკეული ბინებიც ჩვეულებრივ ან სპეციალიზებულ სახლებში, რომლებიც ეძლევათ ოჯახებს, რომელთაც სურთ აღსაზრდელად აიყვანონ სულ ცოტა ხუთი ბავშვი.

საოჯახო საბავშვო ქალაქი მარტო საცხოვრებელი სახლები როდია. აქ აშენდება საშუალო სკოლა თავისი სასწავლო კომპლექსით, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი საცურაო აუზით, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი, სამეურნეო და სამკურნალო-პროფილაქტიკური ბლოკები, გამოიყოფა საკარმიდამო ნაკვეთები, სადაც სასარგებლო შრომას გასწევენ დიდები და ბავშვები. ერთ ასეთ ქალაქში ერთდროულად შეიძლება იცხოვროს 200 ბავშვმა! სულ კი 1988-1991 წლებში დასახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 80 საბავშვო ქალაქი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

სწორედ საოჯახო საბავშვო სახლმა შეიძლება და უნდა მისცეს კიდეც შესაძლებლობა ობოლ ბავშვებს განიცადონ ოჯახის, ადამიანური ურთიერთობის, ერთმანეთისათვის ზრუნვის კეთილმყოფელი გავლენა, დაიმკვიდრება თითოეულ დაბეჩავებულ ბავშვს ირწმუნოს თავისი ძალა, ირწმუნოს ის, რომ საჭიროა ადამიანებისათვის.

ყველას, ვინც გულმოწყალე და კეთილია, ვისთვისაც სულ ერთი არ არის ბედი ბავშვებისა, რომლებმაც პატარაობიდანვე იგემეს სიმწარე, ვინც არ გაგულგრილებულა, შესაძლებლობა ეძლევა თავისი წვლილი შეიტანოს ასეთი სახლის შექმნაში, მხარი დაუჭიროს ამ იდეას პირადი სახსრებით. სწორედ ამ მიზნით საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდი იწყებს 1, 3, 5, 10 და 25-მანეთიანი სპეციალური საქველმოქმედო ბილეთების გამოშვებას. მათი გავრცელების შედეგად მიღებული მთელი სახსრები საოჯახო ტიპის საბავშვო სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და შენახვას მოხმარდება.

ფული, რომელსაც თქვენ გადაიხდით ამ უჩვეულო ბილეთისათვის, მარტოოდენ მშენებლობას როდი მოხმარდება. საოჯახო საბავშვო სახლის ქალაქი სამიდო გახდება და, რაც უმთავრესია, ჭეშმარიტად ოჯახური კერა იქნება იმათთვის, ვისაც ალხა იგი ძნელ ცხოვრებისეულ გარემოებათა გამო. ამ სახლის, ამ პატარა ქალაქის მშენებლობაში შეტანილი წვლილით თქვენ მისი მშენებლები ხდებით.

ეს საქველმოქმედო ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ ყველგან — ნებისმიერ მხარესა და ოლქში, ნებისმიერ რაიონსა და ქალაქში, სადაც არის სსრ კავშირის შემნახველი ბანკის განყოფილებანი და ბავშვთა ფონდის ადგილობრივი განყოფილებები. მათი საზოგადოებრივი გამავრცელებლები იქნებიან ფონდის აქტივისტები და მისი გამგეობის წევრები, ნებაყოფლობითი თანაშემწენი, რომლებისთვისაც ბავშვების დახმარება მარტო მოვალეობა კი არა, სულიერი მოთხოვნილებაც არის. (საქდესი).

ტელევიზია — შაბათი, 17 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი" 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი". 9.50— შევისწავლოთ ქართული ენა. 10.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.00 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი. „მეგობრების ეკრანი" (ოდესის ტელევიზიის პროგრამა).12.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.25 — ათლეტიზმი. 12.55 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა". მხატვრული ფილმი „გვიანი პაემანი". 14.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.35—დრო, გარემო და ჩვენ. 15.35—საინფორმაციო გამოშვება. 15.45—პოეზიის ხუთი წუთი. 15.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „როგორ გაფრინდა მგელი მარსზე". 16.05 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე" — სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.50 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელებისათვის. 17.45 აქტუალური ეკრანი. 18.50 — ახალგაზრდობისათვის. „შეხვედრა 443-ე აუდიტორიაში". 19.50 — „საქართველოს ისტორია და ქართული ტელეფილმი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ცხოვრების მიზანი". 20.10— „ბრატისლავის მუსიკალური დღესასწაული"—მლერის პაატა ბურჭულაძე. 20.35 — მოამბე. 21.10 — სპორტული პროგრამა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „ილუზიონი".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ჩელიაბინსკის კულტურის ინსტიტუტის რუსული ხალხური საკრავების ორკესტრის კონცერტი. 10.00 — რატომ და რისთვის. 10.30 — ზურავს ნ. ვლასენკო (ფორტეპიანო). 11.00 — საოჯახო აკადემია. 11.30 — მულტფილმები. 12.00 — გარდაქმნა და კულტურა. რუსეთის კულტურის ფონდი. 13.00 — ხალხური მელოდიები. 13.10 — ყველასა და თითოეულისათვის. უკაირათობა: პატარა ქალაქი და „ზოზინმშენი". ჩერკასის ოლქის ქალაქ ჩიგირინის ელექტროსადგურის მშენებლობის ისტორია. 13.40 — მოცეკვავე ტ. უსტინოვას შემოქმედება. 14.25 — სოციალიზმის ქვეყნებში. 14.55 — პოეზიის წუთები. 15.05 — მუსიკალური პროგრამა ი. ლუჩენკის ნაწარმოებები. 17.10 — ცხოველთა სამყაროში. 18.10 — დოკუმენტური ფილმი „ცეცხლსაშიში ნაძვისხე". 18.15 — სატირული გადაცემა „ხუმრობით და სერიოზულად". 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.00 — ტელეხიდი მოსკოვი-სტოკჰოლმი. 20.15 — მოსახლეობის საკავშირო აღწერა. დოკუმენტური ფილმი „შეკითხვები ქვეყნის მოქალაქეებს". 20.25 — მხატვრული ფილმი „პლუმბუმი, ანუ სახიფათო თამაში". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — კვირაძალს. ორი პორტრეტი ხმოვან ბილიკზე: იზაბელა იურიევა. ვადიმ კოზინი. 23.50 — ახალგაზრდული ტელეფელეტონი „მონტაჟი". 1.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში 9.15 — პროგრამა „აზრი". სტუდია წარმოგვიდგენს..." (რიგა). შეხვედრები კლაუს მიულერთან. მეორე შეხვედრა. 10.00 — სატელევიზიო თეატრალური აბონემენტი. მიხეილ ლერმონტოვის დრამა „მასკარადი". 11.35 — ისტორიის ფურცლები. პასუხი წერილებზე. 12.05 — პროგრესი. ინფორმაცია. რეკლამა. 12.55 — იცოცხლე, დედამიწავ! საკავშირო სოციალურ-ეკონომიკური ექსპერტიზა „ბაიკალი-88". 13.55 — პედაგოგიკა ყველასათვის. 14.10 — აშკარა — დაუჯერებელი. 15.10 — „ჩვენი ქარვა". გადაცემა რიგიდან. 15.50 — რეკლამა. 15.55 — ჰოკეი. საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. შესვენებისას (16.35 და 17.30) — მულტფილმები. 18.30 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „პირადი ცხოვრება". 20.10 — მღერის პაატა ბურჭულაძე. 20.35 — დოკუმენტური ფილმი „P. S. პოსტსკრიპტუმი". 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.00 — ფიგურული ციგურაობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „იურმალა-89". კონკურსის მოსკოვის რეგიონალური ეტაპი. შესვენებისას — ახალი ამბები.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05657 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29

1 2 3 4 5 6 7 → 10 11 12 13 14